



**სახელი, გვარი:** ირინკა დოლიძე

**პროფესია:** საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი

**ასაკი:** 37 წლის

**ოჯახი:** მეუღლე და ორი შვილი (ექვსი წლის მია და წლინახვერის ლეა)

**ნიდერლანდების სამეფოში ცხოვრობთ:** 11 წელია

**საქმიანობის სფერო:** პირველი სამსახური იყო „GMT“ ჯგუფში, სტუდენტობის დროს, 19 წლის ასაკში. „GMT“ ჯგუფმა იმ დროს საქართველოში ყველაზე პრესტიჟული სასტუმრო - „Tbilisi Marriot“ გახსნა, სადაც მე მარკეტინგისა და გაყიდვების განყოფილებაში დავიწყე მუშაობა. შემდეგ გადავედი „USAID“-ის ერთ-ერთ პროექტში, სადაც ჰოლანდიაში წამოსვლამდე შვიდი წელი ვიმუშავე სხვადასხვა პოზიციაზე. ჩემ კარიერაში ის წლები არის ერთ-ერთი საუკეთესო. ვმუშაობდი არაჩვეულებრივ გუნდთან ერთად, შევიძინე არაერთი მეგობარი, გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი. საუკეთესო მოგონებები უკავშირდება ჩემთვის ამ შვიდ წელს. ჰოლანდიაში სწავლის გაგრძელების მიზნით წამოვედი. Erasmus University, Rotterdam school of management-ის მაგისტრატურაზე ჩავაბარე. ჰოლანდიაში უნივერსიტეტის დამთავრების მეორე დღიდან მუშაობა დავიწყე ერთ-ერთ კერძო კომპანიაში, რომლის საქმიანობაც სასტუმროების ბიზნესს უკავშირდებოდა. იქ ვიმუშავე ორი წელი. კომპანიის მენეჯმენტი ძალიან დამეხმარა იმაში, რომ ჰოლანდიაში მქონოდა სამუშაო ვიზა და გამეგრძელებინა ცხოვრება. ბედნიერი ვარ, რომ ამ წლების მანძილზე შემხვდა ძალიან ბევრი კეთილი და კეთილგანწყობილი ადამიანი. არასოდეს მიგრძვნია თავი გარიყულად, ყოველთვის მქონდა იმის პირობები, რომ აქ თავი წარმატებულად და ბედნიერად მეგრძნო. ამის შემდეგ მუშაობა დავიწყე აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროში. ბოლო შვიდი წელია საერთაშორისო საჯარო მოხელე ვარ და ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ICC) ვმუშაობ. ცხოვრების ამ ეტაპზე მივიღე განსხვავებული გამოცდილება. ვთანამშრომლობ 800 ადამიანთან მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან. მათთან ურთიერთობით მივიღე დიდი



ცხოვრებისეული გამოცდილება. ძალიან ამაყი ვარ, რომ იმ მისიის შესრულებაში, რასაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ემსახურება, თუნდაც მცირედი წვლილი შემიძლია შევიტანო.

**გზა საქართველოდან ნიდერლანდების სამეფომდე:**

წამოსვლის გადაწყვეტილების მიღება იყო ძალიან ძნელი. გამიჭირდა საქართველოს დატოვება და თბილისში ხალისიანი ცხოვრების დათმობა. ყველაფრის თავიდან დაწყება არ იყო ადვილი. მაშინ ჩავთვალე, რომ ცხოვრების იმ ეტაპზე ჩემთვის ასე იყო საჭირო და დღემდე ვთვლი, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ჰოლანდიაში ცხოვრების პირველ



წელს ვიყავი მხოლოდ სტუდენტი. მეორე წელს მუშაობის დაწყების შემდეგ უფრო მეტად გამიღრმავდა საქართველოს მონატრება. თბილისში ჩავდიოდი წელიწადში ერთხელ მაინც, აქაც ჩამოდიოდნენ ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები, მაგრამ რამდენიმე წელი ძალიან გამიჭირდა. მენატრებოდა ყველა და ყველაფერი, ძალიან მაკლდა ჩვეულებრივი თბილისური დღეები.

სტუდენტობის დროს შევხვდი ჩემ მომავალ მეუღლეს. მალე შექვემნიით ოჯახი. მყავს ორი შვილი. ახლა შეიცვალა ჩემი ცხოვრების წესი და საქართველოს მონატრებაც სხვა ფაზაში გადავიდა. ჰოლანდიაში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში, თუმცა საქართველო მაინც ძალიან მენატრება. ჩემი გული და სული მუდამ საქართველოს ეკუთვნის.

**საქართველო არის:** საქართველო არის ის ადგილი, სადაც ყოველთვის ყველაზე ბედნიერად ვგრძნობ თავს. ეს არის ჩემი სიამაყე, სიყვარული და გარკვეულწილად ტკივილი... ყოველ დღე ვნახულობ სიზმრებს და დაკვირვებული ვარ, როდესაც ყველაზე ბედნიერად ვგრძნობ თავს სიზმრებში, ეს სიზმარი აუცილებლად საქართველოში ხდება.





**საქართველოში დავბრუნდები, როცა ან საქართველოში დავბრუნდებოდი, თუ:** კონკრეტული პირობა არ არსებობს... საქართველო არის ის ადგილი, სადაც მე ყველაზე ბედნიერად ვგრძნობ თავს, ამიტომ საქართველოში დაბრუნება ჩემთვის ყველაზე დადებით ემოციებს უკავშირდება.



უბრალოდ, სურვილის გარდა არის ბევრი სხვა ფაქტორი, რაც განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების წესს. ამ შემთხვევაში სამსახურიდან და ოჯახური პირობებიდან გამომდინარე ვცხოვრობ ჰოლანდიაში. მომავალში რა იქნება არ ვიცი. შესაძლოა მალე, ან შესაძლოა, დიდი ხნის შემდეგ დავბრუნდე საქართველოში. თუ ვერ დავბრუნდები, ჩემი სახლი მაინც ყოველთვის იქნება საქართველო და მე ყოველთვის ვიქნები ქართველი.... მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემმა შვილებმა ყოველთვის ისაუბრონ ქართულად და იყვნენ ნახევრად ქართველები.

**ბოლოს საქართველოში ვიყავი:** შარშან დეკრეტული შვებულება მქონდა, ამიტომ ეს იყო ჩემთვის უნიკალური შესაძლებლობა, რომ სამი თვით წავსულიყავი საქართველოში. ჩემი შვილი დადიოდა ქართულ ბაღში. მეუღლემ სპეციალური ნებართვა აიღო, იმისათვის რომ სახლიდან ემუშავა და ძალიან ბედნიერი სამი თვე გავატარე. ორ კვირაში მივდივართ მთელი ოჯახი ისევ საქართველოში და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემმა შვილებმა დიდი დრო გაატარონ ჩემს მშობლებთან, ბებია-ბაბუასთან და უყვარდეთ საქართველო ისევე, როგორც მე მიყვარს.

მე მაქვს ყოველდღიური ურთიერთობა ჩემ ოჯახთან და მეგობრებთან. ჩემი იქ არყოფნა დიდად არ იგრძნობა, ვინაიდან მე ვცდილობ, ყველაფრის საქმის კურსში ვიყო. ეს კავშირი ოჯახთან და მეგობრებთან ძალიან, ძალიან მყარია.



**რას ვისურვებდი:** საქართველოს, პირველ რიგში, ვუსურვებ მშვიდობას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მისი მოქალაქეების სულიერ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიმდიერეს. ხალხს ვუსურვებ ერთმანეთის სიყვარულს და იმ განსაკუთრებული ქართული სულისკვეთების შენარჩუნებას, რაც ოდითგანვე გვახასიათებს. ვისურვებდი, ჩემი ქვეყანა ისეთი ძლიერი და წარმატებული ყოფილიყოს, რომ ჩემ შვილებს იქ მოუნდეთ სტუდენტობის გატარება. აი, ეს იქნება ძალიან სასიხარულო და საამაყო ჩემთვის.